აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - მიმდინარე პეტიცია

ავტორის სახელი: თამილა

ავტორის გვარი: ფუტკარაძე

ავტორის სახელი ბარათიდან: Tamila

ავტორის გვარი ბარათიდან: Phutkaradze

ავტორის პირადი ნომერი ბარათიდან: [redacted]

პეტიციის სათაური: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება

პეტიციის შინაარსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ დავით გაბაიძეს
შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქის
თამილა ფუტკარაძის [redacted]

პეტიციის განაცხადი

შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქე თამილა ფუტკარაძე (მისამართი: შუახევი ს. დღვანი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140-ე პირველი პრიმა მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ პეტიციას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავების მოთხოვნით.

პეტიცია შემუშავებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმას შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ და მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც გამოწვევად რჩება ქალთა მდგრადი ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში და მათი ეკონომიურ-სოციალური თავისუფლების ხარისხი.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ერთის მხრივ გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს, მეორე მხრივ კი აღსანიშნავია მისი ეკონომიკური განზომილებაც.

ქალთა დაბალი ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში, კი იწვევს გენდერულ უთანასწორობას.

გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი შედეგი კი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაა. ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ერთ-ერთი შესაძლებლობა კი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებაა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის თანახმად საქართველოში ყოველი 7 ქალიდან 1 მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი.

გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესის დაჩქარების მიზნით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ზომების განხორციელება აუცილებელია.

მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ქალებმა გამოიმუშავეს პროექტის მომზადებისა და წერის უნარ-ჩვევები, სხვადსხვა საგრანტო კონკურსებში იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ, მასშტაბურობიდან გამომდიანრე, ხშირად რჩებოდნენ დაფინასების გარეშე, ამიტომ საჭიროებამ აჩვენა ადგილობრივ ბიუჯეტში გაწერილიყო ისეთი პროგრამა, რომელიც იქნებოდა საკონკურსო, მისცემდათ საკუთარი იდეის თანამონაწილეობით განხორციელების საშუალებას. სწორედ მათი ინტერესებიდან გამომდინარე, აჭარის რეგიონში მხოლოდ ორმა მუნიციპალიტეტმა შეძლო პროგრამის შემუშავება და ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინება, რაც მისცემთ საშაუალებას ადგილობრივმა ქალებმა იდეა აქციონ რეალობად და წამოიწყონ საკუთარი საქმე. თუმცა აღნიშნული თანხა იმდენად მციერა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია თითოეულმა მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს რამოდენიმე პროექტი.

საქართველოს მაშტაბით პირველად, 2019 წელს შუახევის მუნიციპალიტეტმა განახორციელა 9 000 ლარით ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის იდეების დაფინანსება, ჯამში დაფინანსდა 3 იდეა. 2020 წელს პანდემიიდან გამომდინარე პროგრამა არ განხორციელებულა, პროგრამის თანხა სოციალურ საკითხებს მოხმარდა, 2021 წელს კი ბიუჯეტი 10500 ლარი იყო და 4 გამარჯვებული გამოვლინდა. პროგრამა დღესაც წარმატებით მიმდინარეობს და მისი ბიუჯეტი 15 000 ლარია. ასევე, 2022 წელს ქედის მუნიციპალიტეტმაც შეძლო 15 000 ლარის მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში ქალთა იდეების დაფინანსებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება საქართველოში გამყარებულია

შემოსული № 09-02-13-3/154
02 01
14 03 2022 წ.

ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო ვალდებულებებით:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი;
3. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა;
5. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ CEDAW (სიდო კონვენცია);
6. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება (2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი პუნქტით ხელისუფლებას, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მმართველობით რგოლში ქალთა როლის გაზრდას ავალდებულებს);
7. ევროსაბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (იგივე სტამბულის კონვენცია), რომლის რატიფიცირება, საქართველომ 2017 წელს მოახდინა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქლაქეები მოგმართავთ პეტიციით - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავების მოთხოვნით, რითაც შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტებისთვის დამატებით სპეცტრანსფერის გამოყოფით მოხდეს შესაბამისი პროგრამის დაფინანსება, ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭომ განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგსტრირებული ქალების იდეების თანამონაწილეობით დაფინანსება.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

16/03/2022
N 323

323-09-02-11-3-202203161401

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალური-ეკონომიკური
გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავების
თაობაზე პეტიციის შესახებ

(N09-02-13-ფ/154, 11.03.2022 წ. პეტიციის ავტორი: თამილა ფუტკარაძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავების თაობაზე მოქალაქე თამილა ფუტკარაძის 2022 წლის 11 მარტის N09-02-13-ფ/154 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით მისი გამოქვეყნება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

19/04/2022
N 594

594-09-02-11-3-202204191645

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ბიუროს წევრებს

ბატონო/ქალბატონო,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N 55 ბრძანებით დამტკიცებული პეტიციის წარდგენისა და განხილვის წესის შესაბამისად, გიგზავნით პეტიციას საკითხზე ,, **აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება**“ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი 11 (თერთმეტი) ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

09-01-08/23
19 04 2022
12 ფურცელი

თავმჯდომარე
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

გადაწყვეტილება №16

პეტიციის - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება“ - შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1]-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს 263 მოქალაქის მიერ მხარდაჭერილი პეტიცია - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება“ (N09-02-13-ფ/154, 11.03.2022 წ. პეტიციის ავტორი: თამილა ფუტკარაძე, მისამართი: [redacted] შესწავლისა და განხილვის მიზნით, გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,
19 აპრილი, 2022 წელი
№5

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

19/04/2022
N 586

586-09-02-11-3-202204191427

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალი პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით, 2022 წლის 11 მარტს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის შესაბამისად, შემოვიდა ელექტრონული პეტიციის განაცხადი - ***აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება*** (N09-02-13-ფ/154, 11.03.2022 წ. პეტიციის ავტორი: თამილა ფუტკარაძე, [redacted]. წარმოდგენილი პეტიციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 16 მარტს, მხარდამჭერების შესაგროვებლად (არანაკლებ 200 მხარდამჭერი) გამოქვეყნდა ვებპლატფორმაზე - chaerte.sca.ge.

2022 წლის 16 აპრილს, ხელმოწერების შესაგროვებლად რეგლამენტით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ამოიწურა. პეტიციამ ამ პერიოდში დააგროვა 263 ხელმოწერა.

გიგზავნით ზემოთაღნიშნულ პეტიციას, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნას და პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული მხარდამჭერების სიას შემდგომი რეაგირებისთვის.

დანართი „ 11„ ფურცელი

ზურაბ ჭურკვეიძე

აპარატის უფროსი